ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N4

25.01.2022 წელი
15:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 25 იანვარს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" დირექტორი **თინათინ რუხაძე,** სასახლის საფინანსო განყოფილების უფროსი **ირმა პატარიძე,** პროექტების და პროგრამების განყოფილების უფროსი **ლევან დვალი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" დირექტორი **მანანა წნორიაშვილი,** ჩუღურეთის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გამგე **ციცინო გოგოტიშვილი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის"** 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
   მომხსენებელი - თინათინ რუხაძე, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი.
2. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის"** 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
   მომხსენებელი - მანანა წნორიაშვილი ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **განათლებისა და კულტურის** კომისიასთან ერთად.

გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია კომისიას, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორმა წარუდგინა.

თინათინ რუხაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ 2015 წელს სასახლე გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, რომელიც ინფრასტრუქტურის მხრივ იყო სავალალო მდგომარეობაში. ბევრი პრობლემა და გამოწვევა დამხვდა, მალევე შევძელი კოლექტივთან ერთად მეპასუხა ამ გამოწვევებისთვის და უმოკლეს ვადებში თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო, ელექტრო გაყვანილობის, გათბობის სისტემები მოვაწყვეთ, ყველა აუცილებელი პირობა შევქმენით სასახლის უსაფრთხოდ ფუნქციონირებისთვის. მოგეხსენებათ, რომ თბილისის განვითარების ფონდის მიერ მიმდინარეობს სასახლის ისტორიული შენობის სრული რეაბილიტაცია, პროცესი სამ ეტაპს მოიცავს, რომელიც 2023 წელს დასრულდება. დღეს სასახლეში ხდება არაფორმალური განათლების საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად მეთოდური გაიდლაინების შემუშავება, რომელიც მოერგება არსებულ გამოწვევებს. ჩვენთან 18-26 წლამდე ახალგაზრდებისათვის სასწავლო პროგრამების შემუშავება აქტიურად მიმდინარეობს, სამწუხაროდ ადრე მხოლოდ 18 წლამდე ბენეფიციარებზე იყო მორგებული პროგრამები, რაც ჩვენ შევცვალეთ და გვაქვს ბევრი საინტერესო პროგრამა კონკრეტულად ამ ასაკობრივი სეგმენტისთვის. მათ შორის ვმუშაობთ თბილისის გიდების გადამზადების პროექტზე. მოვახდინეთ რეორგანიზაცია, არ ვკარგავთ ტრადიციებს და რბილი გადასვლით წარსულიდან მომავლისკენ კარი გავუხსენით მეტ ახალგაზრდა პედაგოგს, მეთოდისტს, ექსპერტს, ფსიქოლოგს. პედაგოგების საშუალო ასაკი, რომელიც 70 წელი იყო, დღეს 43 წელია. ხდება პერსონალის გადამზადება, რომელშიც გვეხმარება "PH International" და სხვა ორგანიზაციები, ასევე 270%-ით მოემატათ ხელფასი პედაგოგებს. ვართ გამჭირვალე და ღია ორგანიზაცია, რომელიც მუდამ ცდილობს გადამზადებას და თანამედროვე სტანდარტებისთვის ფეხის აწყობას. პანდემიამდე 1200 სოციალურად დაუცველ ოჯახებს ვემსახურებოდით, ასევე მრავალშვილიან ოჯახებსა და წარჩინებულ მოსწავლეებს. პანდემიის და რეაბილიტაციის მიუხედავად 3000-მდე ბენეფიციარი გვყავს და პარალელურ რეჟიმში ვმუშაობთ, როგორც ონლაინ ასევე შიდა აუდიტორიების დატვირთვით. გავხსენით მუზეუმი, რომლის ფონდში სასახლის სხვადასხვა თაობის აღსაზრდელების მიერ უამრავი ნამუშევარი მივიღეთ. ამერიკის საელჩოს ჩართულობით მოეწყო საბუნებისმეტყველო მიმართულების კუთხე, რომელიც მოიცავს რობოტიკას და თანამედროვე ლაბორატორიებს, მოხდა ინვენტარის და ჩარხების სრულად განახლება თანამედროვე სტანდარტებით. პანდემიის მიუხედავად დაარსდა და აქტიურად აგრძელებს საქმიანობას გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი. გამორჩეული ნამუშევრები შეგვმატა მინანქრის წრემ მიხეილ ცალქალამანიძის ხელმძღვანელობით. შევძელით პლანეტარიუმისა და ასტრონომიის კლასის აღდგენა და აღჭურვა. სასახლის ისტორიული საჭადრაკო სკოლა, აქტიურად აგრძელებს საქმიანობას, ჩვენი ჩართულობა მოსწავლეთა ტურნირებზე გასვლის, ხელსაყრელი საგადახდო სისტემისა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების

კუთხით გაიზარდა. დავაფუძნეთ კულტურული დიპლომატიის აკადემია, სადაც არაერთი ცნობილი დიპლომატი, მათ შორის ევროპარლამენტარი ჩართულია როგორც მენტორი. დაარსდა სამოქალაქო განათლების კლუბი სოფო ბაჩილავას ხელმძღვანელობით. დავაფუძნეთ თბილისის ახალგაზრდული კაპელა მიხეილ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მნიშვნელოვნად განვითარდა საზაფხულო სკოლები, რომელთაც ბევრი საინტერესო მიმართულება შევმატეთ. ნინო შუბლაძესთან ერთად განვახორციელეთ პროექტი ,,წიგნიპედია" და მასში ჩართული არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა უკვე დასაქმდა, რომლის ხელშეწყობაში პირადად ამერიკის ელჩი იყო ჩართული წიგნიერების გაზრდის მიმართულებით. ჩვენ გვაქვს რესურსი და ამბიცია ვიყოთ მაღალი დონის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ყველა ახალგაზრდისთვის იქნება ღია და არავინ დარჩება სასახლის მიღმა ვისაც აქვს სურვილი. ჩვენ ვახერხებთ და ღია ვართ ყველასთვის. გვსურს არაფორმალური განათლების პლატფორმის ერთიანი ბაზის შექმნა ქვეყანაში არსებული ყველა მსგავსი პროფილის ორგანიზაციის ჩართულობით, რომ გამოცდილების გაცვლა გამარტივდეს, აღნიშნულის ფარგლებში იმართება ,,თბილისის საერთაშორისო კონფერენცია''. პრობლემები და გამოწვევები ბევრია, ყველა ბავშვს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, გვინდა 2024 წელს პროგრამულად და ინფრასტრუქტურულად გათანამედროვებული სასახლე მივიღოთ, 10 000-მდე ბენეფიციარის დატვირთვით, რომ სასახლის ყველა სივრცე საინტერესო იდეებითა და შემოქმედებითი მიდგომით მუშაობდეს.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და ეროვნული სასახლე უაღრესად მნიშვნელოვან პროგრამებს ახორციელებს. მუნიციპალური ა(ა)იპები დედაქალაქის მასშტაბით ათასობით ბავშვსა და ახალგაზრდას ემსახურება, მათ შორის დიდ ნაწილს უსასყიდლოდ - მაღალი აკადემიური მოსწრების, მრავალშვილიანი და სოციალური სტატუსის მქონე ბენეფიციარებს.

ნინო კვიტაიშვილი - ძალიან დიდი საქმეა, რასაც თქვენ ხართ შეჭიდებული. მეც ერთ-ერთი სასახლის აღსაზრდელთაგანი ვარ და ჩემს ცხოვრებაში პოზიტიური წვლილი აქვს შეტანილი შემოქმედებით მიმართულებით. ბევრი პრობლემაა, მათ შორის პედაგოგების ხანდაზმულობის პრობლემა. გადამზადების კუთხით თქვენ ახსენეთ ორგანიზაცია "PH International" რომლის ტრენერი გახლდით ,,სამოქალაქო განათლების'' მიმართულებით, თუ სურვილი და დაინტერესება იქნება თქვენი მხრიდან მზად ვარ ჩემი თავი, როგორც რესურსი შემოგთავაზოთ და უსასყიდლოდ ჩავატარო სემინარი, კურსი, ან ტრენინგი აღნიშნული თემატიკით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია კომისიას, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა წარუდგინა.

მანანა წნორიაშვილი - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფუძნდა 2007 წელს, რომელიც 9 ფილიალს აერთიანებს, ბენეფიციართა ასაკი 5-დან 18 წლამდეა, ამ ეტაპზე 3200-მდე ბენეფიციარია, მათ შორის 2000-მდე სოციალურად დაუცველი. ყველა ფილიალს ინდივიდუალური გამოწვევები და შესაძლებლობები აქვს. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი არის აღზრდისა და დამატებითი განათლების მრავალპროფილური დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ, კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო პროგრამებს. ჩვენი საქმიანობის მიზნებია: პიროვნების ინდივიდუალური უნარ-ჩვევებისა და ნიჭის გამოვლენა - განვითარება, პროფესიული არჩევანის ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროებების მქონე მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, საჯარო სკოლებთან, სასწავლო-სააღმზრდელო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და პარტნიორული პროექტების განხორციელება. დაწესებულება ახორციელებს სერვისებს სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისთვის, სასწავლო–სააღმზრდელო პროცესში სწავლის წარჩინებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაფინანსების პროგრამებს. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 38 დასახელების წრე, სტუდია, სპორტული სექცია და კლუბი. განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობენ საგნობრივი მომზადების წრეები, სადაც ძალიან დიდი მოთხოვნაა განსაკუთრებით აბიტურიენტების მხრიდან და ტანვარჯიშის სპორტული სექციები. მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს სამგორის ფილიალის სრული რეაბილიტაცია, ეს ფილიალი 1000-ზე მეტ ბენეფიციარს ემსახურება და რეაბილიტაციის შემდეგ დატვირთვა კიდევ მოიმატებს განსაკუთრებით სპორტული სექციების მიმართულებით, რადგან შენობას შესაბამისი ინფრასტრუქტურა გააჩნია და კალათბურთის, ძიუდოს, ტანვარჯიშის და სხვა სპორტული წრეების აქტიური ხელშემწყობია. ისნის რაიონში გადმოგვეცა ყოფილი 149-ე ბაგა-ბაღის შენობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოწყობის მიზნით, ვაზისუბანში მოთხოვნა ძალიან დიდია და სამომავლოდ გაფართოებას ვიმედოვნებთ. 170 თანამშრომელი გვყავს ამჟამად. პანდემიის გათვალისწინებით მოხდა პედაგოგების ონლაინ მუშაობაზე გადამზადება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ონლაინ გაკვეთილებზე ხდება უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების ჩართვა სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით, რაც ჩვენთვის სიახლე და მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ვთანამშრომლობთ არაერთ ორგანიზაციასთან და მუდამ ახალი, საინტერესო კონტაქტების მოძიების პროცესში ვართ. ერთობლივი პროექტები აქტიურად ხორციელდება განსაკუთრებით თეატრალურ წრეებთან ერთად. 2022 წელს დაგეგმილია სამგორის, ჩუღურეთისა და ისნის ფილიალების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვაპირებთ საკუთარი სახსრებით სამ ფილიალში მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. იგეგმება ახალგაზრდული კლუბების გაფართოება. ასევე მიზნად გვაქვს ფილიალებში ახალი სერვისების დანერგვა, ვმუშაობთ სახელოვნებო და უცხო ენების მიმართულებით საზაფხულო სკოლების შექმნაზე. წინა პლანზე წამოვწიეთ გამოყენებითი ხელოვნების კაბინეტების მოწყობა, რამაც ძალიან გაამართლა და მოსწავლეები იძენენ პროფესიას, ახდენენ საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას, ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ კერძო სექტორთან პროდუქციის განთავსების კუთხით, რაც ჩვენი ბავშვებისთვის დიდი სტიმულია. ვაპირებთ კვლევის საფუძველზე ახალი სერვისების დამატებას ფილიალებში, თუ პანდემიამ არ შეგვზღუდა აქტიურად გაიმართება სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - დიდი მადლობა საინტერესო პრეზენტაციისთვის, სამდივნოს ვთხოვ წარმოდგენილი პრეზენტაციები ელექტრონულად გაუგზავნონ კომისიის წევრებს. იმედს

გამოვთქვამთ, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ უკვე სხვა ფილიალებშიც სტუმრობას და თქვენი საქმიანობის კიდე უკეთ გაცნობას ადგილზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  გიორგი ჩაკვეტაძე